დამტკიცებულია.....
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
დადგენილებით .....

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ბანკის მოლარე-ოპერატორი

საკონტაქტო ინფორმაცია: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ.N 2
პროგრამის ხელმძღვანელი: ხათუნა ბარბაქაძე
ტელ: 593944409
ელ-ფოსტა: khatuna.barbakadze@tsu.ge

თბილისი
2017

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. **სახელწოდება:** ბანკის მოლარე-ოპერატორი

II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 04105-პ

III. **პროფესიულიკვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით:** მესამე

IV. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. **საკანონმდებლო ბაზა:**

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ბანკის მოლარე ოპერატორის პროფესიული სტანდარტი

VI. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება

მოდული - ქართული ენა A2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

VII. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს მოლარედ, ან მოლარე ოპერატორად კომერციულ ბანკებში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და სხვა დაწესებულებებში, სადაც წარმოებს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციები.

VIII. **პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია სტუდენტებს ჩამოუყალიბოს ცოდნა შრომის ბაზარზე ფართოდ წარმოდგენილი პროფესიის — მოლარე-ოპერატორის შესახებ და განუვითაროს ის აუცილებელი კომპეტენციები, რომლებიც შესაძლებელობას მისცემს მას დასაქმდეს მოლარედ კომერციულ ბანკებში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში და სხვა დაწესებულებებში, სადაც წარმოებს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციები.

IX. **სწავლის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ანგარიშის გახსნა/დახურვა
- ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნების ამოცნობა
- სწრაფი ფულადი გზავნილების განხორციელება
- დეპოზიტების მართვა
- სესხების მართვა
- დისტანციური მომსახურება
- სალაროს გახსნა–დახურვა
- ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების წარმოება
- გაყიდვების ტექნიკის გამოყენება
- სწრაფი ფულადი გზავნილები

- კონფლიქტური სიტუაციების მართვა

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 99 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 18 სასწავლო თვე

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		**სავალდებულო პროფესიული მოდულები**		**არჩევითი მოდული/მოდულები**	
დასახელება	**კრედიტი**	**დასახელება**	**კრედიტი**	**დასახელება**	**კრედიტი**
1. კომუნიკაცია	2	9. გაცნობითი პრაქტიკა - ბანკის მოლარე-ოპერატორი	2	25. სააღრიცხვო მონაცემთა ბაზები	7
2. რაოდენობრივი წიგნიერება	2	10. საწარმოო პრაქტიკა-ბანკის მოლარე-ოპერატორი	8	26. საგადასახადო ვალდებულებები	7
3. საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	11. პრაქტიკული პროექტი - ბანკის მოლარე-ოპერატორი	5	27. მომხმარებელთა მომსახურება სავაჭრო ობიექტებში	2
4. მეწარმეობა	4	12. ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაციები	4		
5. პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	13. უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციები	5		
6. უცხოური ენა	4	14. გაყიდვების ტექნიკა	1		
7. ქართული ენა A2	15	15. სწრაფი ფულადი გზავნილები	2		
8. სამოქალაქო განათლება	2	16. დეპოზიტების მართვა	3.5		
		17. სესხების მართვა	2		
		18. ანგარიშის გახსნა/დახურვა	5		
		19. ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები	3		
		20. დისტანციური საბანკო მომსახურებები	2.5		

		21. კონფლიქტური სიტუაციების მართვა	3		
		22. სერვის პლიუსი	2		
		23. სალაროს გახსნა/ დახურვა	3		
სულ:	**32**	**სულ:**	**51**	**სულ:**	**16**

XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული)სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაშიპროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

სავალდებულო ზოგადი მოდულები

დანართი 1. მოდული „კომუნიკაცია“

დანართი 2. მოდული „რაოდენობრივი წიგნიერება“

დანართი 3. მოდული „საინფორმაციო ტექნოლოგიები“

დანართი 4. მოდული „მეწარმეობა“

დანართი 5. მოდული „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“

დანართი 6. მოდული „ინგლისური ენა“

დანართი 7. მოდული „სამოქალაქო განათლება“

დანართი 8. მოდული „ქართული ენა A2“

სავალდებულო პროფესიული მოდულები

დანართი 9. მოდული „გაცნობითი პრაქტიკა - ბანკის მოლარე-ოპერატორი“
დანართი 10. მოდული „საწარმოო პრაქტიკა - ბანკის მოლარე-ოპერატორი“
დანართი 11. მოდული „პრაქტიკული პროექტი - ბანკის მოლარე-ოპერატორი“
დანართი 12. მოდული "ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაციები"
დანართი 13. მოდული „უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციები“
დანართი 14. მოდული „გაყიდვების ტექნიკა“
დანართი 15. მოდული „სწრაფი ფულადი გზავნილები“
დანართი 16. მოდული „დეპოზიტების მართვა“
დანართი 17. მოდული „სესხების მართვა“
დანართი 18. მოდული „ანგარიშის გახსნა-დახურვა“
დანართი 19. მოდული „ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები“
დანართი 20. მოდული "დისტანციური საბანკო მომსახურებები"
დანართი 21. მოდული "კონფლიქტური სიტუაციების მართვა"
დანართი 22. მოდული "სერვის პლიუსი"
დანართი 23. მოდული "სალაროს გახსნა/დახურვა"

არჩევითი პროფესიული მოდულები

დანართი 24. მოდული "სააღრიცხვო მონაცემთა ბაზები"
დანართი 25. მოდული "საგადასახადო ვალდებულებები"
დანართი 26. მოდული „მომხმარებლის მომსახურება სავაჭრო ობიექტებში“

დანართი 27. სასწავლო გეგმა
დანართი 28. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი